

1.159.9

უარყოფის შიში და მასთან გამკლავების გზები: რჩებიან თუ არა მარტო უარყოფისადმი მგრძობიარე ადამიანები

ნათია სორდია, MA, მაია მესტერიშვილი PhD

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: უარყოფისადმი მგრძობიარეობა ინდივიდის მახასიათებელია, რომელიც უბიძგებს მას სიტუაციის გადაჭარბებულად ნეგატიურად შეფასებისკენ და უსაფრთხო ვითარებაშიც ქმნის მოლოდინს, რომ უარყოფილი იქნება გარშემომყოფების მიერ. მოცემული კვლევის მიზანია, უარყოფისადმი მგრძობიარეობასა და მარტოობას შორის კავშირის განსაზღვრა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 266-მა ადამიანმა (100 კაცი 166 ქალი). ბრაზის და შფოთვის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობიარეობის გასაზომად გამოყენებულ იქნა დაუნის და ფელდმანის(Downey & Feldman.1996) მიერ შემუშავებული კითხვარი, მარტოობის განცდის გასაზომად მარტოობის სკალის გადასინჯული ვერსია(Russell, Peplau & Cutrona. 1978). სოციალურ - დემოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად, მონაწილეები უთითებდნენ ინფორმაციას აკადემიური მოსწრების, მეგობრების რაოდენობის, რელიგიურობის შესახებ, ასევე აფასებდნენ იმას, თუ რამდენად წარმატებულად თვლიდნენ საკუთარ თავს. შედეგები აჩვენებს, რომ შფოთვაში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობიარეობა და მარტოობა დაკავშირებულია ერთმანეთთან($r=.128$ $p<.05$) ამასთან, ბრაზის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობიარეობა და მარტოობა არ არის კავშირში ერთმანეთთან. აღსანიშნავია, რომ რელიგიურობას და მარტოობას შორის კავშირი მნიშვნელოვანი და უარყოფითია ($r=-.143$ $p=.02$). ამასთან, მარტოობის განცდის მიხედვით, მნიშვნელოვანია განსხვავება კაცებსა($M=45.97$ $SD=10.59$) და ქალებს($M=42.64$ $SD=9.62$) შორის $t(261)=2.618$ $p=.009$. კვლევის შედეგები წარმოდგენას გვიქმნის უარყოფისადმი მგრძობიარე ადამიანების მიერ, ამ განცდასთან გასამკლავებლად გამოყენებულ მექანიზმებზე.

საკვანძო სიტყვები: უარყოფისადმი მგრძობიარეობა(უმ), შფოთვითი უმ, ბრაზის სახით გამოვლენილი უმ, მარტოობა.

შესავალი

ადამიანის სოციალურობა, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის სურვილთან ერთად, ჯგუფის მხრიდან აღიარების მოპოვების, საკუთარი თავის ხელსაყრელი კუთხით წარმოჩენის სურვილშიც ვლინდება (Jamse 1890). გარშემო მყოფების მხრიდან, აღიარების მოპოვების მოთხოვნილება, ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს წარმოადგენს (Baumeister & Leary 1995), რაც გავლენას ახდენს მიზნებზე და ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებულ საშუალებათა სპეციფიკაზე. პრობლემა იქმნება მაშინ, როცა ადამიანები სასურველ უკუკავშირს ვერ ღებულობენ ჯგუფისგან, გარიყულები, უარყოფილები არიან. უარყოფა და უარყოფის შედეგები,

მარტობა(როგორც ემოციური და/ან სოციალური იზოლაცია), თანამედროვე, ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა და ადამიანების ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აისახება. ამდენად, უარყოფისადმი მგრძობელობასა და მარტობას შორის კავშირის სპეციფიკის განსაზღვრა, თანამედროვე ადამიანის ადაპტაციის თავისებურებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინტერპერსონალური უარყოფისადმი მგრძობელობა განისაზღვრება, როგორც გადამეტებული ფიქრი სხვების ქცევებისა და ჩვენდამი დამოკიდებულებების მიზეზების და თავისებურებების შესახებ (Boyce & Parker, 1989 ციტირებულია კვლევაში: Rosenbach & Renneberg, 2011). სოციალურ-კოგნიტურ ტერმინებში განიხილული ეს ფენომენი გულისხმობს შფოთვითი მოლოდინის, მსუბუქად აღქმის და უარყოფაზე ინტენსიურად რეაგირების დისპოზიციას (Downey & Feldman, 1996).

უარყოფისადმი მგრძობელობის მოდელის თანახმად, საფრთხის შემცველ სიტუაციებში, მათ, ვისაც უარყოფისადმი მგრძობელობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ცუდი წინათგრძობა, გადაჭარბებული საფრთხის შეგრძნება ეუფლებათ (Magios, Downey, & Shoda, 2000 ციტირებულია კვლევაში: Ayduk, Mendoza-Denton, Mischel & Downey 2000). ეს უარყოფითი ემოციური მდგომარეობა ვლინდება ყურადღების ფოკუსის შევიწროებაში. ყურადღება წარმართება უარყოფის გამომხატველი სტიმულების აღმოსაჩენად, რაც მნიშვნელოვანი სხვების ქცევაში უარყოფის გამომხატველი სიგნალების აღმოჩენისა და გაზვიადების ტენდენციას ედება საფუძვლად. ინდივიდები, უარყოფისადმი მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლით, უსაფრთხო ვითარებაშიც მოელიან, რომ უარყოფილნი იქნებიან, სიტუაციას გადაჭარბებულად აფასებენ და სხვადასხვა სახით რეაგირებენ.(Downey, & Feldman, 1996) ისინი, უფრო ხშირად აღიქვამდნენ ორაზროვან ქცევებს, როგორც უარყოფის გამომხატველს, უარყოფისადმი მგრძობელობის დაბალი მაჩვენებლის მქონე ადამიანებთან შედარებით. სხვების მხრიდან აღიარებულთაგან განსხვავებით, ისინი, ვინც უარყოფას განიცდიან, იქცევიან უფრო მტრულად, აგრესიულად, ურთიერთობებში მეტ სირთულეებს აწყდებიან და უჭირთ ამ ურთიერთობების შენარჩუნება, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი მარტობისკენ, სოციალური შფოთვისკენ და დეპრესიისკენ (Berenson at al., 2009; Downey, & Feldman, 1996). ამდენად, უარყოფისადმი მგრძობელობა მოიცავს სამ კომპონენტს: მოლოდინებს, განცდებს და სოციალურ უარყოფაზე საპასუხო რეაქციას (Rosenbach & Renneberg, 2011).

უარყოფისადმი მგრძობელობით განსაზღვრული განრიდება, მარტობა მიზნად ისახავს შესაძლო უარყოფისგან თავის დაცვას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და მიკუთვნებულობის განცდა მისთვის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს, მარტობა განისაზღვრება, როგორც სოციალური კავშირებისთვის საფრთხის შემცველი სტიმულების საპასუხო, კოგნიტური და აფექტური რეაქცია. ფსიქოლოგიურ ლექსიკონში(1990) მარტობას განმარტავენ, როგორც ერთ-ერთ ფსიქოგენურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

რობერტ ვეისის მიერ შემოთავაზებულ მარტოობის ტიპოლოგიაში გამოიყოფა: ემოციური მარტოობა და სოციალური მარტოობა (Weiss, 1975 ციტირებულია წყაროში Корчагина, 2008) ემოციური მარტოობა ეფუძნება მიჯაჭვულობის თეორიას. როცა უსაფრთხო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვებს უწევთ მშობლებთან განშორება, ისინი ავლენენ დისტრესს, ტირილს, მშობლების მოძებნის მცდელობისა და თავშეუკავებელი ქცევების სახით. მოზარდები ამყარებენ მიჯაჭვულობას რომანტიულ პარტნიორთან და ავლენენ სეპარაციასთან დაკავშირებულ დისტრესს, როცა პარტნიორთან განშორებას აქვს ადგილი. სოციალურ მარტოობას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა ადამიანი განიცდის ფართო სოციალური კავშირების ნაკლებობას. როცა არ გრძნობს, რომ საზოგადოების წევრია ან არ ჰყავს მეგობარი, ვისაც შეიძლება დაეყრდნოს დისტრესის დროს (Weiss, 1999). მარტოობა მჭიდრო კავშირშია ემოციური კეთილდღეობის სიმწირესთან და დეპრესიასთან. მომატებულ სისხლის წნევასთან და გულის დაავადებებთან (Nolen-Hoeksema and Ahrens, 2002; Bartels, Cacioppo, Hudziak & Boomsma .2008).

მარტოობა, ბავშვობის ასაკში, კავშირშია ნეგატიურ ემოციებთან და განუხორციელებელ ურთიერთობათა მოთხოვნილებებთან, როგორცაა კომპანიონობის, მხარდაჭერის და სიყვარულის ნაკლებობა. ასევე, პარტნიორის მხრიდან უარყოფასთან, მსხვერპლობასთან, აგრესიულობასთან, მორცხვობასთან და დესტრუქციულ ქცევასთან. ბავშვები, რომლებიც უარყოფილები არიან პარტნიორებისგან და რომლებსაც არ აქვთ ახლო მეგობრული ურთიერთობები, ავლენენ მარტოობის მაღალ მაჩვენებელს და სოციალურ უკმაყოფილებას. (Renshaw & Brown, 1993 ციტირებულია კვლევაში: Bartels, Cacioppo, Hudziak & Boomsma .2008; Asher & Paquette, 2003).

ზრდასრულებში, მარტოობის რისკ-ფაქტორების მეტა ანალიზმა აჩვენა, რომ გვიანი მოზარდების დაახლოებით 10% ჩივის მარტოობის განცდის გამო. ისეთი საფრთხე, ღირებული ინტერპერსონალური ურთიერთობების მისამართით, როგორცაა სოციალური განსხვავებულობა, განდევნა, უარყოფა, განშორება, განქორწინება, შეიძლება განვიხილოთ მარტოობის განცდის მასტიმულირებელ ფაქტორებად (Pinquart & Sorensen, 2003)

ძირითადი კვლევა

სხვათა მხრიდან უარყოფასთან დაკავშირებული გამოცდილება, მგრძობელობა უარყოფისადმი და ამით განსაზღვრული სტრესი და არაადაპტური რეაქციები, კიდევ უფრო განამტკიცებს უარყოფის მოლოდინს და შესაბამის განცდებს. სავარაუდოდ, ადამიანები ამ, უარყოფისადმი მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლით, სოციალური საფრთხის თავიდან ასარიდებლად და/ან სტრესისგან თავდაცვის მიზნით, მარტოობას მიმართავენ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ

1) შფოთვაში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა დაკავშირებულია მარტოობასთან, ხოლო ბრაზის განცდაში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა არ არის დაკავშირებული მარტოობასთან.

სოციალიზაციის პროცესში ადამიანები ითავისებენ გენდერულ სტერეოტიპებს, საზოგადოებაში, ოჯახში არსებული მოლოდინების გათვალისწინებას და გათავისებას

ახდენენ (Crespi, 2003), რაც საბოლოო ჯამში მათ ქცევაზე და არჩევანზე აისახება. მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად ირჩევენ აგრესიულ სტრატეგიებს თვითდამკვიდრებისთვის, ვიდრე ქალები, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ საზოგადოება მათგან ამას ელის. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ

2) სქესი გავლენას მოახდენს შფოთვის და ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობელობაზე და მარტობაზე. კერძოდ:

ა) ქალებში შფოთვის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა მნიშვნელოვნად აღემატება კაცებში შფოთვის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობელობას.

ბ) კაცებში ბრაზის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა მნიშვნელოვნად აღემატება ქალებში ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობელობას.

გ) ქალებში მარტობის განცდა მნიშვნელოვნად აღემატება კაცებში მარტობის განცდას.

კვლევის მეთოდი

კვლევის სუბიექტები

კვლევაში მონაწილეობდა 266 ადამიანი. 14-დან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის 100 მამრობითი და 166 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ქალაქ თბილისის, გორის, მცხეთის, დმანისის რაიონის სკოლების მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები. მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 15,53 (SD=1,25)

ინსტრუმენტები

უარყოფისადმი მგრძობელობის გასაზომად გამოყენებულ იქნა დაუნის და ფელდმანის მიერ შემუშავებული, ბავშვთა უარყოფისადმი მგრძობელობის კითხვარი (Children's Rejection Sensitivity Questionnaire) (Downey & Feldman, 1996). მარტობის განცდის გასაზომად გამოყენებულ იქნა კალიფორნიის უნივერსიტეტში შემუშავებული, მარტობის სკალის გადასინჯული ვერსია (Revised UCLA Loneliness Scale) (Russell, Peplau & Cutrona, 1978). სკალა მოიცავს 20 დებულებას, რომლებიც ზომავენ როგორც სუბიექტის მარტობის განცდას, ისე სოციალურ იზოლაციას. მონაწილეები თითოეულ დებულებას აფასებდნენ 1-დან (არასდროს) 5-მდე (ყოველთვის) საფეხურიან სკალაზე. მოცემული სკალების ქართულ ენაზე არ არსებობს გამო, თითოეული დებულება დაკვირვებით ითარგმნა და ქართული პოპულაციის თავისებურებების შესაბამისად, შეიქმნა კითხვარის სამუშაო ვერსია. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი უარყოფისადმი მგრძობელობის სკალისთვის $=.78$, ხოლო მარტობის სკალისთვის $=.75$.

კითხვარს თანდართული აქვს დემოგრაფიული მონაცემების ნაწილი, სადაც რესპონდენტები პასუხობდნენ შემდეგი სახის კითხვებს; „რამდენად წარმატებულად თვლით საკუთარ თავს?“, „რამდენად რელიგიურ პიროვნებად თვლით საკუთარ თავს?“ პასუხების შერჩევა ხდებოდა 10 ბალიანი სკალიდან. სადაც 1 წარმატებულობის

მინიმალურ შეფასებას, ხოლო 10 წარმატებულობის მაქსიმალურ შეფასებას გულისხმობდა.

კითხვაზე „რამდენი ახლო მეგობარი გყავთ?“ რესპონდენტებს შეეძლოთ შემოეხაზათ „1“ „2“ „3“ „4“ „4-ზე მეტი“ ან „საერთოდ არ მყავს მეგობარი“ ტიპის პასუხებიდან სასურველი.

„გყავთ თუ არა და-ძმა?(გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობა)“ არჩევანის გაკეთება შესაძლებელი იყო შემდეგი ტიპის პასუხებიდან: „ძმა“ „და“ „ორივე“ „არცერთი“

პროცედურა

კვლევის მონაწილეებს წარედგინებოდათ კითხვარი, რომლის თითოეულ ნაწილს თანდართული აქვს სკალის შევსების, შესაბამისი, მოკლე ინსტრუქცია. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ინტერვიუერი სიტყვიერ ახსნა-განმარტებასაც აძლევდა მათ. კვლევის მონაწილეთა 15-20 კაციან ჯგუფებში, მონაწილეები დამოუკიდებლად ავსებდნენ კითხვარს და არჩევანს პასუხების ფურცელზე აფიქსირებდნენ.

მიღებული მონაცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა SPSS For Windows-ის (21-ე ვერსიის) გამოყენებით.

შედეგები

უარყოფისადმი მგრძნობელობასა და მარტობას შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი.

როგორც აღმოჩნდა, შფოთვაში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვან კავშირშია მარტობასთან $r(266)=.128$ $p=.038$.

გამოვლინდა მნიშვნელოვანი, უარყოფითი კავშირი საკუთარი რელიგიურობის შეფასებასა და მარტობას შორის $r=-.143$ $p=.02$. რელიგიურობის თვალსაზრისით ქალებსა ($M=7.4$ $SD=2.21$) და კაცებს ($M=6.57$ $SD=2.72$) შორის მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა, $t(265)=-2.7$ $p=.007$.

ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძნობელობასა და მარტობის განცდას შორის მნიშვნელოვანი კავშირი არ დადასტურდა. ამასთან უარყოფისადმი მგრძნობელობა არ არის მნიშვნელოვნად დაკავშირებული რელიგიურობასთან, საკუთარი წარმატებულობის შეფასებასთან, მეგობრების რაოდენობასთან, აკადემიურ მოსწრებასთან. აკადემიური მოსწრება არც მარტობასთან არის მნიშვნელოვან კავშირში.

ცხრილი 1

უარყოფისადმი მგრძნობელობასა და დემოგრაფიულ მონაცემებს შორის კორელაცია

ცვლადები	1	2	3	4	5	6
შფოთვითი უარყოფისადმი მგრძნობელობა						
ბრაზში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძნობელობა	.853**					
მარტობა	.128*	.095				

წარმატებულობის შეფასება	.005	-.035	-.019			
მეგობრების რაოდენობა	.080	.037	.062	-.058		
აკადემიური მოსწრება	-.034	-.086	-.047	.642**	-.161**	
რელიგიურობის შეფასება	-.008	-.068	-.143*	.326**	.089	.217**
$p < 0.05$						** $p < 0.01$

შფოთვის და ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძნობელობასა და მარტოობის განცდაში სქესთაშორის განსხვავების განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა სტატისტიკური კრიტერიუმი Independent T Test.

მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა კაცებსა ($M=45.97$ $SD=10.59$) და ქალებს ($M=42.64$ $SD=9.62$) შორის მარტოობის განცდის თვალსაზრისით $t(261)=2.618$ $p=.009$

ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი არ იყო სხვაობა არც ბრაზის და არც შფოთვის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძნობელობის მაჩვენებლების მიხედვით.

შედეგების მიმოხილვა

მიღებული შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას: შფოთვაში გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძნობელობა დადებითად უკავშირდება მარტოობას. შფოთვის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძნობელობა ადამიანს მოტივირებულს ხდის თავიდან აიცილოს ან თავი აარიდოს შფოთვის წყაროს. ამის საუკეთესო საშუალება კი სოციუმისგან დისტანცირებაა, რაც თავის მხრივ სოციალური იზოლაციის ან/და მარტოობის ფსიქოლოგიური განცდის განმაპირობებელი ხდება.

მნიშვნელოვანი, უარყოფითი კავშირი მარტოობის განცდასა და საკუთარი რელიგიურობის შეფასებას შორი, აჩვენებს, რომ მარტოობის განცდის ზრდასთან ერთად მცირდება საკუთარი რელიგიურობის შეფასება. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა მარტოობის განცდისგან თავის დაღწევის საშუალებად რელიგიურობა მივიჩნიოთ. როგორც აღმოჩნდა, რელიგიურობის საშუალო მაჩვენებელი ქალებში მნიშვნელოვნად აღემატება მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რელიგიურობის საშუალო მაჩვენებელს. თუ ამ მონაცემს დავაკავშირებთ იმ ფაქტთან, რომ კაცებში მარტოობის საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ქალებში მარტოობის მაჩვენებელს, კიდევ უფრო განმტკიცდება მოსაზრება, რომ რელიგიურობა მარტოობისგან თავის დაღწევის საშუალებაა.

ქალებსა და კაცებს შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობა მარტოობის განცდის თვალსაზრისით, შესაძლებელია აღზრდის სტილზე და თავისებურებებზე დაყრდნობით აიხსნას. ბავშვობიდან მოყოლებული, ბიჭებს ემოციების კონტროლს, პრობლემებთან დამოუკიდებლად გამკლავებას ასწავლიან. გოგონებს მსგავს შეზღუდვებს არ უნერგავენ. შესაბამისად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები

მეტი სოციალურობით, ემოციების გამოხატვისა და გაზიარების ტენდენციით გამოირჩევიან. ამდენად, ლოგიკურია, რომ მამაკაცები უფრო იქნებიან მიდრეკილნი მარტოობისკენ ვიდრე ქალები.

კვლევის შედეგებით დასტურდება ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ბრაზის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა არ არის დაკავშირებული მარტოობასთან. შეიძლება ვთქვათ, რომ ბრაზის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა ადამიანებს უბიძგებს გარკვეული მოქმედების საშუალებით ბრაზის გამოხატვისკენ. შესაბამისად, ბრაზის სახით გამოვლენილი უარყოფისადმი მგრძობელობა შესაძლოა დადებითად უკავშირდებოდეს აგრესიულობას, ასერტულობას, გარკვეული ქმედების განხორციელებას.

კავშირი საკუთარი წარმატებულობის შეფასებასა და უარყოფისადმი მგრძობელობას შორის არ დადასტურდა. რაც მოწმობს, რომ უარყოფისადმი მგრძობელობა გავლენას არ ახდენს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაზე. ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ შფოთვის ან ბრაზის სახით განიცდიან უარყოფის მოლოდინს, მაინც ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების ადექვატურად შეფასებას.

ასევე, არ დადასტურდა უარყოფის მოლოდინის განცდასა და მეგობრების რაოდენობას შორის კავშირი. თუ ვიტყვით, რომ უარყოფისადმი მგრძობელობა კავშირშია მარტოობასთან და როგორც აღმოჩნდა შფოთვის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობელობასა და მარტოობას შორის კავშირი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ფაქტი მეგობრების რაოდენობას განსაზღვრავს. რაც არ დადასტურდა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტოობა განიხილება, როგორც ფსიქოლოგიური და როგორც სოციალური მახასიათებელი. შესაბამისად, შესაძლებელია სოციალურ მარტოობას არ ჰქონდეს ადგილი და მეგობრების რაოდენობა დათვლადი იყოს, თუმცა ამ მეგობრების არსებობის მიუხედავად, მარტოობა, როგორც ნეგატიური ემოციური მდგომარეობა, ფსიქოლოგიურად განიცდებოდეს.

უარყოფისადმი მგრძობელობასა და საკუთარი რელიგიურობის შეფასებას შორის მნიშვნელოვანი კავშირის არსებობა არ დადასტურდა, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ დღევანდელ საქართველოში რელიგიურობის მიმართ ცალსახად განსაზღვრული (დადებითი ან უარყოფითი) დამოკიდებულება არ იკვეთება. შესაძლოა სწორედ ეს არის მიზეზი, რომ რელიგიურობა, როგორც სოციალურად სასურველი(ან მიუღებელი) რამ, უარყოფის მოლოდინის განცდის მაკომპენსირებელ და სოციალური მოწონების მიღების განმსაზღვრელ როლს არ ასრულებს.

როგორც აღმოჩნდა, მნიშვნელოვანი განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის არ დაფიქსირდა შფოთვითი უარყოფისადმი მგრძობელობის თვალსაზრისით. არც ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობელობაში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სხვაობა. როგორც ჩანს, ქალები და კაცები ერთნაირად განიცდიან შფოთვას და ბრაზს უარყოფის მოლოდინისას და სქესთაშორის სხვაობები და აღზრდის სტილით განპირობებული ფაქტორები არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანები, შფოთვის სახით გამოვლენილი, უარყოფისადმი მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლით, ამ განცდასთან

გასამკლავებლად მარტობას ირჩევენ. თუმცა აირჩევენ თუ არა მარტობას უარყოფისადმი მგრძობიარე და შფოთვის მაღალი განცდით გამორჩეული ადამიანები დამოკიდებულია რიგ ისეთ ფაქტორებზე, როგორც სქესი და რელიგიურობაა. აღსანიშნავია, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ირჩევენ მარტობას, ქალების შემთხვევაში კი შესაძლოა რელიგია და რელიგიურობა იყოს მარტობისგან თავის დაღწევის საშუალება.

შეზღუდვები და მომავალი კვლევა

მოცემული კვლევის ფარგლებში აქცენტი არ იყო გაკეთებული ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობიარეობასთან გამკლავების მექანიზმებზე. საინტერესო იქნება ჩატარდეს კვლევა აგრესიულობას, ასერტულობასა და სხვა აქტიური მოქმედების ფორმებსა და ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი მგრძობიარეობას შორის კავშირის გამოსავლენად.

მომავალი კვლევის ფარგლებში, ასევე საინტერესო იქნება განისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენენ და/ან ცვლიან უარყოფისადმი მგრძობიარეობასა და მარტობას შორის კავშირის სპეციფიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] James William (1890) The Principles of Psychology. An internet resource developed by Christopher D. Green. York University, Toronto, Ontario.

[2] Baumeister, R.F & Leary, M.R (1995). The need to belong: desire for interpersonal attachments as a fundamental human motivation. Psychological Bulletin, 117, 497-529

[3] Rosenbach C. & Renneberg B. (2011) Rejected, Excluded, Ignored: The perception of Social Rejection and Mental Disorders_A Review. English Version of Veraltentherapie 21:87-97

[4] Downey, G., & Feldman, S.I (1996). Implication of rejection sensitivity for intimate relationships. Journal of personality and Social Psychology, 70, 1327-1343.

[5] Ayduk O., Mendoza-Denton R., Mischel W. and Downey G.(2000) Regulating the interpersonal self: Strategic self-regulation for coping with rejection sensitivity. Journal of personality and social psychology Vol. 79, No.5, 776-792

[6] Berenson K. R., Gyurak A., Ayduk O., Downey G., Garner M.J., Mogg K., Bradley B.P., Pine D.S. (2009) Rejection sensitivity and disruption of attention by social threat cues. Journal of research in Personality

[7] Корчагина С. Г. (2008) Психология Одиночества. Московский психолого-социальный институт .228 с.

[8] Weiss R.S 1999. Reflections of the present state of loneliness research. In M. Hojat & Crandall (Eds.) Loneliness: Theory, research, and applications (pp.1_16) Newbury Park, CA:SAGE Publications.

[9] Nolen-Hoeksema S., Ahrens C. 2002. Age differences and similarities in the correlates of depressive symptoms. Psychol Aging 17(1):116_124

[10] Bartels M., Cacioppo., J. T. Hudziak, J. J. and Boomsma D. I.(2008) Genetic and Environmental Contributions to Stability in Loneliness Throughout Childhood. American Journal of Medical Genetics Part B(Neuropsychiatric Genetics) 147B:385_391

[11] Asher S.R., Paquette J.A., (2003). Loneliness and peer relations in childhood. Curr Dir Psycho Sci 12:75_78

[12] Pinquart, M., and Sorensen, S. 2003. Risk factors for loneliness in adulthood and old age-a meta-analysis. In S. P. Shohov (ed.) Advances in psychology research Vol. 19. Hauppauge, NY, US:Nova Science Publishers, Inc., pp.111_143

[13] Crespi I. (2003) Gender socialization within the family: a study on adolescents and their parents in Great Britain. Department of Sociology Catholic University of Milan. Paper for BHPS

[14] Russell, D, Peplau, L.A., & Ferguson M.L. (1978) Developing a measure of Loneliness. Journal of Personality Assessment, 42, 290-294

ცხრილების რაოდენობა_1 („ცხრილი N1. უარყოფისადმი მგრძნობელობასა და დემოგრაფიულ მონაცემებს შორის კორელაცია“)

Article received 2016-12-15